თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 25 ნოემბრის სხდომის ოქმი #14

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 22, სტუდენტები – 7, სულ –29 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისა და მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ

/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი თ. ბერიძე/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2017-2018 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის გასაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

5. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორის, ბატონ იურგენ ბოსისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი თ. ბერიძე/

6. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 25 ნოემბრის #14 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიში 2017-2018 სასწავლო წლისთვის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ,,ეკონომიკა" დამტკიცების შესახებ.
/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე თ. ბერიძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ჩატარდა ფაკულტეტის პროფესორების შეხვედრა ეკონომიკის საერთშორისო სკოლის ხელმძღვანელებთან, სადაც დაისვა სხვადასხვა შეკითხვები. პროფესორებმა მიიღეს დასაბუთებული პასუხები და გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის განხორციელება მისაღებია. ამ პროცესს წინ უძღოდა დაახლოებით ერთწლიანი მსჯელობა და დისკუსიები. ამჯერად დგას საკითხი ამ პროგრამაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან საგნების ჩართვის და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობის შესახებ. ფაკულტეტის ინტერნაციონალიიზაციისთვის ასეთი სკოლის არსებობა საკმაოდ აქტუალურია. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება სამაგისტრო პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით და ისევე როგორც ფაკულტეტი, ასევე უნივერსიტეტი დაინტერესებულია, რომ ეს პროგრამა გაიხსნას.

ამ პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა არანაირ გავლენას ახდენს ფაკულტეტის მისაღები კონტინგენტის კვოტაზე. რაც შეეხება პროგრამა, ის თანხვედრაშია ფაკულტეტზე არსებულ პროგრამასთან, თუმცა მიზანშეწონილია სილაბუსებში გარკვეული განსხვავებები. რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას: საბაკალავრო პროგრამის განხორციელება მოხდება მაღლივი კორპუსის მე-12 სართულზე, სადაც ჩატარდება სრული რემონტი. ასევე, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ხელმძღვანელობამ გამოთქვა აზრი, რომ შესაძლოა მოიპოვონ გრანტი და ამის საშუალებით მოხდეს მაღლივი კორპუსის ფოეს რემონტი.

ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ მადლობა გადაუხადა თსუ რექტორის მოადგილეს, მ. ჩხენკელს მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ეს კარგი საშუალებაა ფაკულტეტის საბჭოს წევრების გასაცნობად.

აზრი გამოთქვეს: თსუ რექტორის მოადგილემ მ. ჩხენკელმა, პროფ. ნ. ხადურმა, პროფ. ა. სილაგაძემ, ასოც. პროფ. ლ. საბაურმა, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პრეზიდენტმა ე ლივნიმ.

თსუ რექტორის მოადგილე, მ. ჩხენკელი - მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში აქტიურად ხორციელდება სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა, რაშიც ჩართვის შესაძლებლობა აქვს უნივერსიტეტის ყველა წევრს. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან მიმართებაში მან გამოკვეთა 2 მიმართულება: 1. უნივერსიტეტის საერთაშორისო იმიჯის გაძლიერება (სწორედ ეს პროგრამა მეტად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ კუთხით). 2. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტიშო (აქაც აისეტის ეს პროგრამა იქნება წამყვანი პროგრამა და არის დიდი იმედი, რომ უნივერსიტეტს მრავლად ეყოლება უცხოელი სტუდენტები). ეს ზრდის უნივერსიტეტის ცნობადაობას, ასევე ფინანსური კუთხითაც დადებითად იმოქმედებს უნივერსიტეტის შემოსავლებზე.

თსუ რექტორის მოადგილემ, მ. ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ზემოთჩამოთვლილიდან გამომდინარე, თსუ რექტორატს იმედი აქვს, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო მხარს დაუჭერს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას, რომელიც უთუოდ იქნება წარმატებული.

ფაკულტეტის პრობლებთან დაკავშირებით თსუ რექტორის მოადგილემ, მ. ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ჩატარდა შეხვედრები დეკანატთან, პროფესორებთან და გამოიკვეთა რიგი საკითხები: ბლუმბერგის ლაბორატორიის კუთხით მუშაობის გაძლიერება, ასევე თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის მიმართულებისა და სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის შექმნის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო რანგის პროექტების განხირციელება მეტად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის.

ფაკულტეტის დეკანნმა, პროფ. თ ბერიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის მმართველობითი ორგანოს (ბორდის) წევრი იქნება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ნ. ხადური და მას მისცა სიტყვა.

პროფ. ნ. ხადური - მან აღნიშნა, რომ პროფესორებთან შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება, რომ ისინი მხარს დაუჭერენ აღნიშნული პროგრამის განხორციელებას. ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს ეძლევა საშუალება მაქსიმალურად ჩაერთოს აღნიშნულ პროგრმაში.

პროფ. ნ ხადურმა აღნიშნა, რომ არის რამოდენიმე საკითხი, რომელზეც მოხდა შეთანხმება: 1. ადგილების რაოდენობა განისაზღვრება არა ფაკულტეტის კვოტიდან, არამედ ცალკე. 2. ფაკულტეტიდან უნდა გაიზარდოს მონაწილეობა აისეტის მართვაში. 3. მოხდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროგრამას ეყოლება 2 თანახელმძღვანელი: ლაშა ლაბაძე და ერიკ ლივნი.

პროფ. ა. სილაგაძე - მან მიმართა თსუ რექტორის მოადგილეს მ. ჩხენკელს და აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორების ხელფასების ზრდის საკითხთან დაკავშირებით მისი მხარდაჭერის იმედი აქვს. ეს საკითხი დადებითად გადაწყდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, მოხდა მისი განხილვა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებზეც.

მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ინტეგრაციის პროცესში უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების წინააღმდეგი არ შეიძლება ვინმე იყოს. მაგრამ საკითხი ეხება ფორმას. მან დასხვა შეკითხვა: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას თუ აქვს დებულება? თუ აქვს, მან მოითხოვა სხდომის დასრულების შემდეგ ამ დებულების გაცნობა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ის მონაწილეობდაეკონომკის საერთაშორისო სკოლის შექმნის სათავეში და იყო ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასული გამოცდილების გასაცნობად.

მაგრამ მაშინ მიზანი იყო სხვა და საბოლოდ ის აღმოჩნდა სხვა. ,,ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამ სკოლის მუშაობა იყოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქცეული. ფაკულტეტის დებულების განხილვის დროს არ არის ჩანაწერი, რომელიც ამ საკითხს არეგულირებს და ამ ჩანაწერის ყველა პუნქტი კანონს ეწინააღმდეგება. დღევანდელი სიტუაციის მიხედვით ფაკულტეტში ფაკულტეტზე დიდი ფაკულტეტი არსებობს. ის ფაკულტეტი არსებობს, რომლეიც დებულებით წარმოდგენილია თითქოს და დამხმარე სტტუქტურული ერთეულის მაგრამ მის ხელმძღვანელს სხვა ირჩევს. ეს ,,სხვა" არ არის რექტორი ან დეკანი. ეს პროცესი უნდა დასრულდეს. შემოვდივარ წინადადებით, რომ პირველ რიგში დებულების ეს ნაწილი უნდა გასწორდეს და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. უნივერსიტეტიში კანონმდებლობის მიხედვით არის საგანმანათლებლო ძირითადი ერთეული მხოლოდ ფაკულტეტი. დებულებაში წერია, რომ არის დამხმარე სტრუქტურული ერთეული, მაგრამ კონტროლის მექანიზმი არ არის. საერთაშორისო საბჭო ირჩევს დირექტორს. მე არ ვუჭერ მხარს, რომ ფაკუტეტის წარმომადგენელი ასეთი ფორმით იყოს ამ საბჭოში წარმოდგენილი. რექტორი, დეკანი არ შეიძლება იმ საბჭოში იყოს რიგითი სტატუსის მიხედვით წარმოდგენილი და სხვა იღებდეს გადაწყვეწტილებას. ამას კანონი არ ითვალისწინებს. დებულებაში წერია ერთი, მოქმედებაში არის მეორე" - აღნიშნა პროფ. ა. სილაგაძემ.

ბ-მა ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ ის არ არის წინააღმდეგი ამ პროგრამის შექმნის, მაგრამ ის უნდა მოექცეს კანონმდებლობის ფარგლებში. ,,მნიშვნელოვანია ბიუჯეტის საკითხი. ასევე არ კონტროლდება გრანტების საკითხი. აქედან გამომდინარე გამოდის, რომ აისეტი არ არის უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული. ინტერნეტში განთავსებულ განცხადებაში, სადაც არის საუბარი აისეტზე, არსად არ არის აღნიშნული ის, რომ ის არის ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული"- აღნიშნა პროფ. ა. სილაგაძემ. მან დააყენა წინადადება: აისეტი ან შეიქმნას დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით, ან ყველაფერი მოექცეს კანონმდებლობის ფარგლებში.

პროფ. ა. სილაგაძემ თხოვნით მიმართა ფაკულტეტის დეკანს, თ. ბერიძეს, რომ აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს ფაკულტეტის წარმომადგენელი და არა მხოლოდ დირექტორთა საბჭოს (ბორდის) წევრი. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს პოზიცია მან ასევე დააფიქსირა წერილში. მან საბჭოს წევრებს მოუწოდა აკადემიურ საბჭოზე ამ საკითხის განხილვამდე მოხდეს დებულების ჩასწორება, რომელიც შეეხება ამ სკოლის ფუნქციონიურებას და ის პარალელურად მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისაობაში და მაქსიმალურად იყოს ფაკულტეტის როლი გათვალისწინებული. წერილში აღნიშნულია, რომ ყველაზე კარგი იქნებოდა მინიმუმ ერთი ჯგუფი (ინგლისურენოვანი) ფაკულტეტს თვითონ გაეხსნა. ეს არ გამოიწვევდა ასიმეტრიულ განსხვავებას ფინანსებშიც.

პროფ. ა. სილაგაძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ უნდა მოხდეს ფაკულტეტის დებულების ცვლილება და სასურველია გაირკვეს ეკონომიკის მიმართულება, რომელიც არსებობს ჩვენს ფაკულტეტზე, იმასთან არის ეს პროგრამა თუ დამოუკიდებელი პროგრამაა? თუ ეს დამოუკიდებელი პროგრამაა ბიზნესის მიმართულებით, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას. ბოლოს მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება იქნება ასევე მისი გადაწყვეტილება, თუნდაც ის არ ეთანხმებოდეს ამას და ჰქონდეს განსხვავებული პოზიცია.

ფაკულტეტის დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, თ. ბერიძე - მან აღნიშნა, დებულების მე-15 მუხლი ეხება აისეტის ფუნქციონირებას. დეკანმა აღნიშნა, რომ მას აქვს თხოვნა ფაკულტეტის საბჭოს წევრების მიმართ: მისი გაცნობის შემდეგ ერთი კვირის ფარგლებში მოწოდებული იქნას მოსაზრებები. ასევე მან სთხოვა აისეტის წარმომადგენლებს, გაეცნონ ფაკულტეტის დებულების ამ მუხლს და ის თვალსაზრისები, რომელიც აქ გამოითქვა, იქნას გათვალისწინებული.

ასოც. პროფ. ლ. საბაური - მან მადლობა გადაუხადა თსუ რექტორის მოადგილეს, მ. ჩხენკელს მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ეთანხმება ბატონი ა. სილაგაძის აზრს ასისტენტ-პროფესორებისთვის ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით. ფაკულტეტის საბჭომ დააყენა ეს საკითხი და ის უნდა განხორციელედეს.

რაც შეეხება აისეტს, მისთვის გაუგებარია რას ნიშნავს ,,მათ დადეს პირობა". ,,თუ აისეტი არის ჩვენი ფაკულტეტის მმართველობის ქვეშ მდგომი სტრუქტრურული ერთეული, მაშინ ასე არ უნდა იდგეს საკითხი. საინტერესოა როგორ ხდება მათი ბიუჯეტის მართვა. საბოლოო ჯამში პრეტენზია ჩვენი მხრიდან, რაც აქამდე გაჟღერდა, იყო ის, რომ ხდებოდა მხოლოდ მაგისტრის აკადემიური ხარისხების მინიჭება. ფაკულტეტის საბჭოში უნდა იყოს მათი მხრიდანაც წარმომადგენელი და მუშაობა უნდა მოხდეს ინტერგირრებულად.

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პრეზიდენტმა ე. ლივნი - მან აღნიშნა, რომ აისეტის დირექტორთა საბჭოში ყოველთვის შედიოდა უნივერსიტეტის რექტორი. ახალი რექტორის, ბ-ნი გიორგი შარვაშიძის მიერ იყო გაჭღერებული, რომ ის აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მის მუშაობაში.

ბ-მა ე. ლივნიმ მოკლედ ისაუბრა აისეტის შესახებ და აღნიშნა, რომ 2017 წელს სრულდება ამ სკოლის ფუნქციონირების 10 წელი და ყოველწლიურად 40 ახალგაზრდა იღებს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. ისინი არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე უცხოელები. ყოველწლიურად 3-4 მაგისტრი აგრძელებს სწავლას დოქტორანტურაში მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. ზოგიერთი მათგანი კი იქ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე საქმდება. ამ ეტაპზე დაახლოებით 30 ადამიანის დაბრუნებაზე ვმუშაობთ, რომლებიც შექმნიან ქართული მეცნიერების მომავალს. ფინანსებთან დაკავშირებით მან ღანიშნა, რომ აისეტი - ეს არის უნიკალური პროექტი, რომელიც შეიქმნა 2005 წელს მსოფლიო ბანკის მონაწილეობით და წამყვანი კატალიზატორი აქ იყო ის, რომ ამ პროგრამის შექმნისთვის მოხდა დონორების უპრეცენდენტო კოალიცია. ახლა, როდესაც დონორების ყურადღება ამ სკოლის მიმართ აღარ არის ისეთი, როგორიც წინათ, შესაბამისად აისეტის ფინანსური მდგომარეობა აღარ არის ისეთი, როგორიც წინათ იყო. ახლა საჭიროა ახალი დონორების მოზიდვა და ახალი პროგრამების განხორციელება, რაც გაზრდის აისეტის საქმიანობის მოცულობას. სტუდენტებისგან მიღებული შემოსავლები დაახლოებით 7 %-ია, რაც არაა საკმარისი. სკოლაში არიან დასაქმებული უცხოელი ლექტორები, რაც არ არის იაფი. დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი მთავარი საკითხია მოხდეს ამ სკოლის გადარჩენა და ის მოხარულია, რომ რექტორი ამ პროცესში მთლიანად ჩართულია და ეხმარება სკოლას.

ბ-მა ე. ლივნიმ აღნიშნა, რომ ის კმაყოიფიულია პროფესორებთან შეხვედრით, რადგან იყო დიდი ენთუზიაზმი და პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნები არ

ყოფილა. აუცილებელია მოხდეს ფაკულტეტის პროფესურის ჩართვა ამ პროგრამაში და კავშირების უფრო გაფართოვება. ის ფაქტი, რომ აისეტის საბაკალავრო პროგრამა იქნება მაღლივ კორპუსში, ეს უთუოდ წაადგება ფაკულტეტისა და ამ სკოლის უფრო დაახლოვებას. კავშირები აისეტსა და ფაკულტეტს შორის არსებობდა და არსებობს: ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სწავლას აგრძელებს აისეტში. ასევე, აისეტის მაგისტრები ატარებენ ლექციებს ფაკულტეტის სხვადასხვა კათედრებზე, თუმცა ბოლო წლებში ეს საკმაოდ შემცირდა (მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელფასს არ უხდის უნივერსიტეტი, არამედ ხელფასს იხდის აისეტი). ,,ჩვენ გვაქვს რესიურსი გაცილებით მეტი აისეტის კურსდამთავრებული დასაქმდეს ფაკულტეტზე და ჩაატაროს სემინარები ისე, რომ უნივერსიტეტს არ მოუწევს მათი ხელფასების გადახდა. ეს არის აისეტიდან გაღებული ფინანსური წვლილი ფაკულტეტისთვის. ამჯერად ჩვენი ეს რესურსი არ არის უნივერსიტეტში სრულყოფილად გამოყენებული. ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმდნენ საქართველოს უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, აგრარულ უნივერსიტეტში და სხვა. მაგრამ თსუ-ში მათი რიცხვი მცირდება“- აღნიშნა ე. ლივნიმ.

საბოლოოდ, ბატონმა ე. ლივნიმ აღნიშნა, რომ აისეტის განვითარება და ზრდა უთუოდ სასიკეთო გავლენას მოახდენს უნივერსიტეტის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარებაზე.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა **საკითხი** ***თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში 2017-2018 სასწავლო წლისთვის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ,,ეკონომიკა“ დამტკიცებისა და განხორციელების დაწყების შესახებ.***

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წლისთვის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში განსახორციელებლად ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ,, ეკონომიკა“.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი თ. ბერიძე/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2017-2018 სასწავლო წლისათვის ეკონომიკის

ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარი: ადგილების რაოდენობა - 50.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით: ადგილების რაოდენობა - 50 (იხ. დანართი).

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2017-2018 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ–მა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2017-2018 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ,,ეკონომიკა“, ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ და ,,ტურიზმი“ მისაღები კონტიგენტის ანკეტა–კითხვარი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მისაღებ სტუდენტთა შემდეგი რაოდენობები:

1. პროგრამა ,,ეკონომიკა“ - 400 ადგილი;
2. პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ - 280 ადგილი;
3. პროგრამა ,,ტურიზმი“ – 20 ადგილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. თ შენგელიამ, პროფ. ი. ხელაშვილმა, ასოც. პროფ. ა. ჩუთლაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. კაციტაძემ.

საბჭოს ამ წევრთათვის მიუღებელი აღმოჩნდა წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 9

წინააღმდეგი – 11

წარმოდგენილი სახით ანკეტა-კითხვარი არ დამტკიცდა.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. თ.ბერიძემ, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი: გაიზარდოს პროგრამის ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ ადგილების რაოდენობა 20 ადგილით, ხოლო ,,ტურიზმის“ საგანმანათლებლო პროგრამის ადგილების რაოდენობა - 5 ადგილით.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების ,,ეკონომიკა“, ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ და ,,ტურიზმი“ შესახებ ანკეტა–კითხვარის მიხედვით განისაზღვროს 2017–2018 სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა შემდეგი რაოდენობები:

1. პროგრამა ,,ეკონომიკა“ - 400 ადგილი;
2. პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ - 300 ადგილი;
3. პროგრამა ,,ტურიზმი“ – 25 ადგილი.

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2017-2018 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი):

1. პროგრამა ,,ეკონომიკა“ - 400 ადგილი;
2. პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ - 300 ადგილი;
3. პროგრამა ,,ტურიზმი“ – 25 ადგილი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2005, 2007 და 2009 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

1. **თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ გიორგი სამქანაშვილისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№8463/29, 18.11.2016), რომელიც ითხოვს **გიორგი სამქანაშვილისთვის** მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დაზუსტებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი სამქანაშვილი 2001 წელს მისაღები გამოცების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

2004 წლის ნოემბერში თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი გიორგი თეიმურაზის ძე სამქანაშვილი გასული წლის ფინანსური დავალიანების გამო ამორიცხული იქნა სტუდენტთა სიიდან (№4/1524, 16.11.2004), ხოლო 2004 წლის დეკემბერში ნაწილობრივ შეიცვალა ბრძანება №4/1524, 16.11.2004 და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ამორიცხულთა სიიდან ამოღებული იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების შესაბამისი კურსის სტუდენტები, მ.შ. გიორგი თეიმურაზის ძე სამქანაშვილი (ბრძანება №4/1715, 20.12.2004).

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების არასაბიუჯეტო სექტორის კურსდამთავრებულ გიორგი სამქანაშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით საბანკო საქმის სპეციალობით.

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის („საბანკო საქმე“) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმებში გიორგი სამქანაშვილის გვარი არ ფიქსირდება. ასევე, 2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ეკონომიკის ფაკულტეტზე დიპლომი გიორგი სამქანაშვილის სახელზე რეგისტრირებული არ არის.

თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2005 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა სამი ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისია, რომელთა მიერ სულ წარმოებულია 2005 წლის 8 ივნისს - 17 ოქმი (მ.შ. ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში 6 ოქმი) და 2005 წლის 22 ივნისს - 5 ოქმი (მ.შ. ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში 2 ოქმი). წარმოდგენილ არც ერთ ოქმში არ ფიქსირდება გიორგი სამქანაშვილის გვარი. ერთმანეთს შეუდარდა ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებაში დაფიქსირებული ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულთა გვარები 2005 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ სხდომის ოქმში ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში დაფიქსირებულ კურსდამთავრებულთა გვარებს. თსუ რექტორის ბრძანებაში დაფიქსირებული გიორგი სამქანაშვილის გვარი არ იძებნება ფაკულტეტის საბჭოს

სხდომის ოქმებში. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა შესაძლებლობის ფარგლებში მოიძია ინფორმაცია გიორგი სამქანაშვილის შესახებ. მისი გვარი მოძებნილი იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 2001-2005 წლებში წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალში. როგორც ჟურნალებიდან, ისე სტუდენტის სასწვლო ბარათიდან ირკვევა, რომ გიორგი სამქანაშვილს ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი. აქვე ავღნიშნავ, რომ 2004-2005 სასწავლო წლის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალში მის გვართან გაკეთებულია ჩანაწერი „-550“, საიდანაც ვგებულობთ, რომ გიორგი სამქანაშვილს დავალიანება 550 ლარი ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საატესტაციო კომისიის სხდომის ჩატარების დროს მას გადასახდელი ჰქონდა სწავლის საფასური, რის გამოც არ იქნა მისი გვარი შეტანილი ოქმში. მოგვიანებით კი, როცა გადაიხადა დავალიანება, პასუხიმგებელი პირის დაუდევრობის გამო მისი გვარი არ იქნა შეტანილი ოქმში. ალბათ, ეს არის იმის მიზეზიც, რომ თავის დროზე არ მოხდა მისთვის დიპლომის დანართის და შესაბამისად დიპლომის მომზადება.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ გიორგი სამქანაშვილი 2001 წელს ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე. საბაკალავრო პროგრამის ამოწურვის შემდეგ ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით მიენიჭა ***<u>ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით საბანკო საქმის სპეციალობით</u>*** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მინჯაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის საბანკო საქმის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ გიორგი სამქანაშვილს ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა ეკონომისტის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წინაშე დაატენა წინადადება, რომ შესწორდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საბანკო საქმის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ გიორგი სამქანაშვილისთვის მინიჭებული ხარისხი და ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საბანკო საქმის სპეციალობის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **გიორგი სამქანაშვილს** მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

2. **თსუ ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუასთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ი. ნაცვლიშვილი/

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№8436/29, 17.11.2016). მასში აღნიშნულია, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად მოითხოვა ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2007 კურსდამთავრებულ **ნათია დუნდუას** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა, მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება და დიპლომის დანართის მომზადება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ნათია დუნდუა 2002-2003 სასწავლო წლის მისაღები გამოცდებისა და მიღების წესების თანახმად ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №25, 28.08.2002, თსუ ოზურგეთის ფილიალი). იმავე 2002-2003 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შედეგების და თსუ ოზურგეთის ფილიალში მოქმედი სტუდენტთა მიღება-გადაყვანის წესების თანახმად ნათია დუნდუა ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №60, 23.11.2002, თსუ ოზურგეთის ფილიალი).

2002 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ნათია ჯუმბერის ასული დუნდუა გადაყვანილ იქნა ამავე ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების I კურსზე (ბრძანება №61, 25.11.2002, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2003 წელს - II კურსზე (ბრძანება №60, 30.12.2003, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2004-2005 სასწავლო წელს - III კურსზე (ბრძანება №68, 22.12.2004, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2005-2006 სასწავლო წელს - IV კურსზე (ბრძანება №15, 25.02.2006, თსუ ოზურგეთის ფილიალი).

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის 1473 ბრძანებულების მე-2 შ/ და ფ/ ქვეპუნქტების, მე-3 პუნქტის დ/ ქვეპუნქტის საფუძველზე 2006-2007 სასწავლო წელს თსუ ოზურგეთის ფილიალში გაუქმდა დაუსწრებელი სწავლების ფორმა და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები გადაყვანილ იქნენ დასწრებული სწავლების ფორმის მათთვის დაუსწრებელი სწავლების საფასურის ტარიფის შენარჩუნებით და შეუერთდნენ დასწრებული სწავლების შესაბამის კურსებს (თანდართულ სიაში ნათია დუნდუა ირიცხება ეკონომიკის ფაკულტეტის V კურსზე). დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისთვის კრედიტების გადაანგარიშება კურსებისა და სპეციალობის მიხედვით ხდება შემდეგი სქემის მიხედვით: თითოეული საგამოცდო საგანი და საკურსო ნაშრომი შეფასდეს 4 კრედიტით, ჩასათვლელი საგანი კი - 3 კრედიტით. აკადემიურ შვებულებაში მყოფ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებზე სტუდენტის სტატუსში აღდგენის შემდეგ გავრცელდება ყველა პირობა, რაც დაუსწრებელი სწავლებიდან გადაყვანილ აქტიურ კონტიგენტზე (ბრძანება №65, 15.10.2006 - თსუ ოზურგეთის ფილიალი).

თსუ ოზურგეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ნოემბრის №67ა ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ნათია დუნდუა გადაყვანილ იქნა დასწრებელი სწავლების მე-4 კურსზე.

შენიშვნა: ბრძანებაში „მე-5 კურსის შემდეგი სტუდენტები“ ხელით არის ჩასწორებული, როგორც „მე-4 კურსის შემდეგი სტუდენტები“, რაც სავარაუდოდ შეცდომაა. ოზურგეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 15 ოქტომბრის №65 ბრძანების დანართიდან ჩანს, რომ ნათია დუნდუა ირიცხებოდა ეკონომიკის ფაკულტეტის V კურსზე. ისმის კითხვა: როგორ აღმოჩნდა იგი იმავე წლის 18 ოქტომბრის №67ა ბრძანებაში IV კურსზე? ჩვენი ვარაუდით, დღის დასწრებულზე არ არსებობდა V კურსი და ამიტომ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტების გადაყვანა ვერ მოხდებოდა დასწრებული სწავლების V კურსზე, რამაც გამოიწვია დაუსწრებელი სწავლების V კურსის სტუდენტების გაერთიანება დასწრებული სწავლების IV კურსის სტუდენტებთან. აღნიშნული ფაქტი კი შეცდომით იქნა ჩასწორებული ხელით.

2007 წელს თსუ ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (ბრძანება №39ბ, 30.06.2007 - თსუ ოზურგეთის ფილიალი).

ოზურგეთის ფილიალის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2007 წლის 9 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანებით 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით.

შენიშვნა: აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოზურგეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებაში (№39ბ, 30.06.2007) არ არის აღნიშნული, თუ რომელი სპეციალობა დაამთავრეს კურსდამთავრებულებმა. მაგრამ საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილი არც ერთი ბრძანებით არ დასტურდება ნათია დუნდუას სპეციალობის შეცვლის ფაქტი. იგი 2002 წელს ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალობაზე და მას შემდეგ არც ერთ ბრძანებაში არ არის აღნიშნული სპეციალობის შეცვლა. უფრო მეტიც, ნათია დუნდუას სახელზე გაცემული

დიპლომიდან (დიპლომი B №000041, სარეგისტრაციო №01/7000291) ჩანს, რომ ნათია დუნდუას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით. აღნიშნული ფაქტი დაასტურა თვითონ კურსდამთავრებულმა ფაკულტეტის წარმომადგენელთან საუბრისას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „თსუ ოზურგეთის ფილიალის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ რექტორის №1634/01-04 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 24 აპრილის №661/01-04 ბრძანებით შევიდა ნაწილობრივი ცვლილება 2007 წლის 19 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანებაში და მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: 1. მიენიჭოთ ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავებულებს და 3. მიენიჭოთ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კლალიფიკაცით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს.

შენიშვნა: როგორც წარმოდგენილი ბრძანებებიდან ჩანს, თსუ რექტორის №1634/01-04, 19.12.2007 ბრძანებაში ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულების (სულ 50 კურსდამთავებულია) ხარისხის მინიჭებაში შევიდა ნაწილობრივი ცვლილება კურსდამთავრებულთა ნაწილს (33 კურსდამთავრებული) მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობით (თუმცა წარმოდგენილ კურსდამთავრებულებშიც არის დაშვებული შეცდომები), ხოლო მეორე ნაწილს (14 კურსდამთავრებული) მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით (სამწუხაროდ, მათ შორის არ ფიქსირდება 3 კურსდამთავრებულის გვარი - ნათია დუნდუა, გიორგი ლომაძე, ლაშა ლომაძე).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2008 წლის 24 აპრილის №661/01-04 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანებაში ცვლილებები შეტანის შესახებ თსუ რექტორის №2291/01-04, 24.11.2011 ბრძანებით 1. ბათილად იქნა ცნობილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2008 წლის 24 აპრილის №661/01-04 ბრძანება ნათია დუნდუას ნაწილში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2008 წლის 24 აპრილის №661/01-04 ბრძანებაში ნათია დუნდუას გვარი არ ფიქსირდება) და 2. შევიდა ცვლილება თსუ რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანების მე-2 პუნქტში და ოზურგეთის ყოფილი ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

შენიშვნა: სამწუხაროდ, არც ბოლოს გამოცემული თსუ რექტორის №2291/01-04, 24.11.2011 ბრძანებით არ დასტურდება კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას მიერ წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის დასრულება და ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვს ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით.

ნათია დუნდუას სახელზე გაცემული დიპლომში (B№000041, სარეგისტრაციო №01/700291) აღნიშნულია, რომ მას 2007 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით (დიპლომის გაცემის თარიღია 07.02.2012).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივის მიერ გაცემული საარქივო ცნობაში აღნიშნულია, რომ თსუ ოზურგეთის ფილიალის კვალიფიკაციის მინიჭების 2007 წლის სხდომის ოქმები თსუ არქივში გადაცემული არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათია დუნდუა ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე და იგივე სპეციალობა დაამთავრა 2007 წელს. მას წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის ნაცვლად ხარისხი არასწორად მიენიჭა ფინანსების სპეციალობაში. აღნიშნული ფაქტი დასტურდება მის სახელზე წარმოებულ სასწავლო ბარათში დაფიქსირებული სასწავლო კურსებით. ამასთან, მის სახელზე დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ქალბატონ ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ შესწორდეს თსუ ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუასთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან და „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“ წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად თსუ ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

3. **თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ავთანდილ ფირიაშვილი) მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ი. ნაცვლიშვილი/

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№8190/29, 08.11.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა **ავთანდილ ფირიაშვილისთვის** მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის № 633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან და მისთვის დიპლომის დანართის მომზადება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ავთანდილ ფირიაშვილი 2002 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სპეციალობის პირველ კურსზე (ბრძანება №4/1007, 06.09.2002). 2003 წელს დატოვებულ იქნა პირველ კურსზე აკადემიური ჩამორჩენილობის გამო (ბრძანება №4/1007 06.09.2002).

2008 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამის დასრულების მიზნით 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ავთანდილ ფირიაშვილს მიეცა თვითდაფინანსებით ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლება და დარეგისტრირდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დამატებით XI სემესტრის სტუდენტად (ბრძანება №1089/01-04, 11.09.2008).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილებით და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 7 აპრილის №714/01-04 ბრძანებით საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთარებულ ავთანდილ(ი) ფირიაშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი.

2009-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№002030 (სარეგისტრაციო №002030) რეგისტრირებულია ავთანდილ ფირიაშვლის სახელზე.

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ავთანდილ ფირიაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. ასევე, თსუ რექტორის 2009 წლის 7 აპრილის №714/01-04 ბრძანებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობების 2009 წლის კურსდამთავრებულებს. კერძოდ;

- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 21 კურსდამთავრებულს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით;

- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 9 კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით;
- სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 2 კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით;
- ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 4 კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით;
- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2 კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საერთაშორისო ბიზნესის სპეციალობის 5 კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის სპეციალობის 11 კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით.

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა განიხილონ საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 7 აპრილის №714/01-04 ბრძანებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ავთანდილ ფირიაშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**, ხოლო ხოლო სწავლების დარგის მითითება მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდში მოქმედი წესის მიხედვით.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 7 აპრილის №714/01-04 ბრძანებაში მითითებულ ფინანსები და საბანკო საქმის (21 კურსდამთავრებული); აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის (9 კურსდამთავრებული); სახელმწიფო და

მუნიციპალური მართვის (2 კურსდამთავრებული); ბიზნესის ადმინისტრირების (4 კურსდამთავრებული); ინფორმატიკა-ბიზნესში (2 კურსდამთავრებული); საერთაშორისო ბიზნესის (5 კურსდამთავრებული) და საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის (11 კურსდამთავრებული) სპეციალობების ყველა კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №714/01-04, 07.04.2009)*.

მოისმინეს: დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

1. **1985 წელს ყოფილი სახალხო მეურნეობის, 1996 წელს ყოფილი კომერციის ფაკულტეტის და 2005 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.**

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებებით მომართეს სახალხო მეურნეობის ფაკულტეტის 1985 წლის, კომერციის ფაკულტეტის 1996 წლის და ეკონომიკის ფაკულტეტს 2005 წლის კურსდამთავრებულებლმა. კერძოდ:

1. ყოფილი სახალხო მეურნეობის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ სერგო სურმავამ აფხაზეთის ომის დროს დაკარგული (განადგურებული) დიპლომის გამო;
2. ყოფილი კომერციის ფაკულტეტის 1996 წლის კურსდამთავრებულ ქეთევან შაშიაშვილმა გაურკვეველ ვითარებაში დიპლომის დაკარგვის გამო;
3. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ გიორგი სამქანაშვილმა დიპლომის მომზადების გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სერგო სურმავას, ქეთევან შაშიაშვილის და გიორგი სამქანაშვილის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომელებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფი-კაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული

ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული საქმისწარმოება და გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას.

1. **სერგო შამილის ძე სურმავა** 1980 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე კონკურსის გარეშე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/450, 25.08.1980).

   სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №10 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წლის 26 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1985 წლის 18 ივლისის №4/535 ბრძანებით სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ სერგო შამილის ძე სურმავას მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

   1985 წლის დიპლომების გაცემის დარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი KB№1557644 (სარეგისტრაციო №01/2004) რეგისტრირებულია სერგო შამილის ძე სურმავას სახელზე.

   წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1985 წელს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე მოქმედებდა ორი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 9 ოქმი. ყველა ოქმზე აღნიშნულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), მაგრამ არც ერთ ოქმზე არ არის დაფიქსირებული ოქმის ნომერი.

   სახალხო მეურნეობის დაგეგმვის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვ. ვეფხვაძე; წევრები: პროფ. ა. ბაჯელიძე, პროფ. ი. ბაქრაძე, პროფ. ო. საღარეიშვილი, დოც. ვ. ფრანგიშვილი, დოც. დ. ჯაბიძე, დოც. ვ.*

ქარჩავა) მიერ 1985 წლის 26 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი, ხოლო 28 ივნისს - 4 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №10 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ვ. ბურკაძე; წევრები: დოც. ნ. მესხი, დოც. თ. დემეტრაშვილი, დოც. მ. ნარგიზაშვილი, დოც. ი. ქადარია, დოც. ვ. გურგენიძე)* მიერ 1985 წლის 26 ივნისს წარმოებულია 4 ოქმი და მათზე არ არის დაფიქსირებული ნომრები.

საარქივო დოკუმენტებიდან დადგინდა, რომ სხვადასხვა კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამჟამად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ და უნომრო ოქმებს (გადაწყვეტილებებისთვის) მიენიჭოს ნომრები და ნომრის პირობითობის აღსანიშნად ასო „პ“-ს დაემატოს. ამასთან, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოქმების დანომვრა განხორციელდეს კომისიების მუშაობისა და სახელმწიფო გამოცდების ჩატარების თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

2. ქეთევან გურამის ასული შანშიაშვილი 1991 წელს მისაღები გამოცების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის ფაკულტეტის საღამო სწავლების არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/520, 15.08.1991).

კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის 27 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1996 წლის 30 ივლისის №4/576 ბრძანებით კომერციის ფაკულტეტის საღამო განყოფილების სამრეწველო პროდუქციის კომერსანტ-საქონელმცოდნე სპეციალობის კურსდამთავრებულ ქეთევან გურამის ასულ შანშიაშვილს მიენიჭა უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1996-1997 წლების დიპლომების დაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი А№02562 (სარეგისტრაციო №01/298) რეგისტრირებულია ქეთევანი შანშიაშვილის სახელზე.

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1996 წელს კომერციის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია კომერციის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 15 ოქმი. აქედან, 7 ოქმზე დაფიქსირებულია ოქმის ნომერი, 8 ოქმი კი უნომროა. რაც შეეხება ოქმის თარიღს, იგი დაფიქსირებულია 13 ოქმზე, 2 ოქმზე კი დაფიქსირებულია მხოლოდ სხდომის ჩატარების წელი და თვე.

კომერციის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. თ. ნანიტაშვილი; წევრები: პროფ. გ. მიქელაძე, დოც. გ. ბერკაცაშვილი, დოც. გ. ქობლიანიძე, დოც. ნ. ბაკურაძე, უფ. მასწ. ლ. მეფურიშვილი)* მიერ 1996 წლის 1 ივლისს წარმოებულია 6 ოქმი და ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი (№11).

კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. მადონა ნიკოლოზის ასული გედევანიძე; წევრები: დოც. გ. ს. ნადირაშვილი, დოც. გ. ზ. ბერკაცაშვილი, დოც. იზ. თ. ადეიშვილი, დოც. თ. გ. ჯაში, დოც. ც. ვ. ურუტაძე, პროფ. ნ. შ. თოდუა, დოც. ა. ნ. ლაშხი, დოც. ნ. ს. ბენდუქიძე)* მიერ 1996 წლის 27 ივნისს წარმოებულია 4 ოქმი და მათზე არ არის დაფიქსირებული ნომრები.

კომერციის ფაკულტეტის №... (პირობითად №3) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. ა. მარუაშვილი; წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. გ. ღაღანიძე, დოც. გ. ბერკაცაშვილი, დოც. ვ. ამირეზაშვილი, დოც. ჯ. წაქაძე)* მიერ 1996 წლის 28 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი. მათგან ერთ ოქმზე დაფიქსირებულია ოქმის ნომერი (№1), ხოლო მეორე ოქმი უნომროა.

კომერციის ფაკულტეტის №... (პირობითად №4) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. გ. ჯულაყიძე წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. ა. გაგნიძე, პროფ. ზ. გრიგოლაშვილი, დოც. ნ. ხმალაძე)* მიერ 1996 წელს წარმოებულია სულ 3 ოქმი. მათ შორის ერთ ოქმზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღად დაფიქსირებულია 19 ივნისი, ხოლო ორ ოქმზე დაფიქსირებულია მხოლოდ სხდომის ჩატარების თვე. რაც შეეხება ოქმის ნომრებს, იგი არცერთ ოქმზე არ არის აღნიშნული.

საარქივო დოკუმენტებიდან დადგინდა, რომ სხვადასხვა კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამჟამად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნად ასო „პ“-ს დამატება. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს კომისიების მუშაობისა და სახელმწიფო გამოცდების ჩატარების თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

ასევე აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ კომერციის ფაკულტეტის პირობითად №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული სამი ოქმიდან ორ ოქმზე დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თვე (1996 წლის ივნისი), ხოლო მესამე ოქზე დაფიქსირებულია თარიღი (1996 წლის 19 ივნისი). ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ საარქივო მასალების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 1996 წელს კომერციის ფაკულტეტზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიები მუშაობდნენ მხოლოდ ერთი დღეს. კერძოდ,

კომერციის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ 1996 წლის 1 ივლისს ხარისხი მიანიჭა 113 კურსდამთავრებულს, კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ 1996 წლის 27 ივნისს ხარისხი მიანიჭა 129 კურსდამთავრებულს, ხოლო კომერციის ფაკულტეტის პირობითად №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ 1996 წლის 28 ივნისს ხარისხი მიანიჭა 43 კურდამთავრებულს. რაც შეეხება, კომერციის ფაკულტეტის პირობითად №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიას, მათ ხარისხი მიანიჭეს სულ 55 კურსდამთავრებულს, რაც შესაძლებელია მომხდარიყო ერთ დღეს და ეს დღე სავარაუდოდ იქნებოდა 1996 წლის 19 ივნისი.

3. **გიორგი სამქანაშვილი** 2001 წელს მისაღები გამოცების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

2004 წლის ნოემბერში თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი გიორგი თეიმურაზის ძე სამქანაშვილი გასული წლის ფინანსური დავალიანების გამო ამორიცხული იქნა სტუდენტთა სიიდან (№4/1524, 16.11.2004). 2004 წლის დეკემბერში შეიცვალა ნაწილობრივ ბრძანება №4/1524, 16.11.2004 და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ამორიცხულთა სიიდან ამოღებული იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების შესაბამისი კურსის სტუდენტები, მ.შ. გიორგი თეიმურაზის ძე სამქანაშვილი (ბრძანება №4/1715, 20.12.2004).

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების არასაბიუჯეტო სექტორის კურსდამთავრებულ გიორგი სამქანაშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით საბანკო საქმის სპეციალობით.

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის („საბანკო საქმე“) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმებში გიორგი სამქანაშვილის გვარი არ ფიქსირდება. ასევე, 2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ეკონომიკის ფაკულტეტზე დიპლომი გიორგი სამქანაშვილის სახელზე რეგისტრირებული არ არის.

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2005 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა სამი ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისია, რომელთა მიერ სულ წარმოებულია 2005 წლის 8 ივნისს - 17 ოქმი (მ.შ. ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში 6 ოქმი) და 2005 წლის 22 ივნისს - 5 ოქმი (მ.შ. ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში 2 ოქმი). წარმოდგენილ ოქმებში არ ფიქსირდება გიორგი სამქანაშვილის გვარი. ერთმანეთს შეუდარდა ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებაში დაფიქსირებული ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულთა გვარები 2005 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ

ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ სხდომის ოქმში ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში დაფიქსირებულ კურსდამთავრებულთა გვარებს. თსუ რექტორის ბრძანებაში დაფიქსირებული გიორგი სამქანაშვილის გვარი არ იძებნება ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმებში. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა შესაძლებლობის ფარგლებში მოიძია ინფორმაცია გიორგი სამქანაშვილის შესახებ. მისი გვარი მოძებნილი იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 2001-2005 წლებში წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალში. როგორც ჟურნალებიდან, ისე სტუდენტის სასწავლო ბარათიდან ირკვევა, რომ გიორგი სამქანაშვილს ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი. მაგრამ 2004-2005 სასწავლო წლის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალში მის გვართან გაკეთებულია ჩანაწერი „-550“, საიდანაც ვგებულობთ, რომ გიორგი სამქანაშვილს ჰქონდა დავალიანება 550 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საატესტაციო კომისიის სხდომის ჩატარების დროს მას გადასახდელი ჰქონდა სწავლის საფასური, რის გამოც არ იქნა მისი გვარი შეტანილი ოქმში. მოგვიანებით კი, როცა გადაიხადა დავალიანება, პასუხიმგებელი პირის დაუდევრობის გამო მისი გვარი არ შეიტანეს ოქმში. სავარაუდოდ, აღნიშნული მიზეზით, თავის დროზე არ მოხდა გიორგი სამქანაშვილისთვის დიპლომის დანართის და შესაბამისად, დიპლომის მომზადება.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ გიორგი სამქანაშვილი 2001 წელს ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე. საბაკალავრო პროგრამის ამოწურვის შემდეგ ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით საბანკო საქმის სპეციალობით. ასევე გაირკვა, რომ მისი გვარი არ არის დაფიქსირებული ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმებში. მოძიებული საარქივო დოკუმენტებიდან დასტურდება გიორგი სამქანაშვილის სწავლის და მისთვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტი. ამიტომ მიზანშეწონილია, ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად თსუ რექტორის ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1985 წლის 26 და 28 ივნისს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის *(დღე)*, შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მრეწველობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მრეწველობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მრეწველობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№2/ჰ***;
- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სოფლის მეურნეობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№3/ჰ***;
- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***სოფლის მეურნეობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№4/ჰ***;

1.2. აღდგენილად ჩაითვალოს 1985 წლის 26 ივნისს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №10 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მრეწველობის დაგეგმვის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* და სოფლის მეურნობის დაგეგმვის *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების

თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სახალხო მეურნეობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№1/3***;
- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. სერგო შამილის ძე სურმავა) „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***;
- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№3/3***;
- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1985 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1985 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№4/3***.

1.3. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი სახალხო მეუნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვ. ვეფხვაძე, პროფ. ა. ბაჯელიძე, პროფ. ი. ბაქრაძე, პროფ. ო. სარარეიშვილი, დოც. ვ. ფრანგიშვილი, დოც. დ. ჯაბიძე, დოც. ვ. ქარჩავა)* და №10 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ვ. ბურკაძე, დოც. ნ. მესხი, დოც. თ. დემეტრაშვილი, დოც. მ. ნარგიზაშვილი, დოც. ი. ქადარია, დოც. ვ. გურგენიძე)* მიერ 1985 წლის 26 და 28 ივნისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1985 წლის 26 და 28 ივნისის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №1 და №10 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქციის კომერსანტ-საქონელმცოდნე *(დღე, საღამო)* და სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვა-

ლიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სამრეწველო პროდუქციის კომერსანტ-საქონელმცოდნე*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№1/პ***;
- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***სამრეწველო პროდუქციის კომერსანტ-საქონელმცოდნე*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს *(მ.შ. ქეთევან შანშიაშვილი)* „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№2/პ***;
- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე ექსპერტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№3/პ***;
- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე - ექსპერტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№4/პ***.

2.2. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს კომერციის ფაკულტეტის პირობითად №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მატერიალური რესურსების მართვისა და წარმოების *(დღე, საღამო)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***მატერიალური რესურსების მართვისა და წარმოების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***კომერციის ფაკულტეტის პირობითად №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 28.06.1996;***

- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მატერიალური რესურსების მართვისა და წარმოების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***.

2.3. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს კომერციის ფაკულტეტის პირობითად №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა საზოგადოებრივ კვებაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 19 ივნისი და ოქმის ნომრად №1/3;***
- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა საზოგადოებრივ კვებაში (სპეციალიზაცია: მასობრივი კვების ეკონომიკა)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 19 ივნისი და ოქმის ნომრად №2/3;***
- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებროივ კვებაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 19 ივნისი*** და ნომრად ***№3/3***.

2.4. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. მადონა ნიკოლოზის ასული გედევანიძე; წევრები: დოც. გ. ს. ნადირაშვილი, დოც. გ. ზ. ბერკაცაშვილი, დოც. იზ. თ. ადეიშვილი, დოც. თ. გ. ჯაში, დოც. ც. ვ. ურუტაძე, პტოფ. ნ. შ. თოდუა, დოც. ა. ნ. ლაშხი, დოც. ნ. ს. ბენდუქიძე),* პირობითად №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. ა. მარუაშვილი; წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. გ. ღაღანიძე, დოც. გ. ბერკაცაშვილი, დოც. ვ. ამირეზაშვილი, დოც. ჯ. წაქაძე)* და პირობითად №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. გ. ჯულაყიძე წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. ა. გაგნიძე, პროფ. ზ. გრიგოლაშვილი, დოც. ნ. ხმალაძე)* მიერ 1996 წლის 19 ივნისს, 28 ივნისს და 1 ივლისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1996 წლის 19 ივნისის, 28 ივნისის და 1 ივლისის კომერციის ფაკულტეტის №2, პირობითად №3 და პირობითად*

№4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

3. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაცის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის საბანკო საქმის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ გიორგი სამქანაშვილისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 8 ივლისი*** და ოქმის ნომრად ***№611/3***.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის დუბლიკატის მომზადების თაობაზე განცხადებით მომართა თსუ ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2007 კურსდამთავრებულ ნათია დუნდუამ დიპლომის დაკარგვის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათია დუნდუას სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი

უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული საქმისწარმოება და გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ **ნათია ჯუმბერის ასული დუნდუა** 2002-2003 სასწავლო წლის მისაღები გამოცდებისა და მიღების წესების თანახმად ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №25, 28.08.2002, თსუ ოზურგეთის ფილიალი). იმავე 2002-2003 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შედეგების და თსუ ოზურგეთის ფილიალში მოქმედი სტუდენტთა მიღება-გადაყვანის წესების თანახმად ნათია დუნდუა ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №60, 23.11.2002, თსუ ოზურგეთის ფილიალი).

2002 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ნათია ჯუმბერის ასული დუნდუა გადაყვანილ იქნა ამავე ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების I კურსზე (ბრძანება №61, 25.11.2002, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2003 წელს - II კურსზე (ბრძანება №60, 30.12.2003, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2004-2005 სასწავლო წელს - III კურსზე (ბრძანება №68, 22.12.2004, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2005-2006 სასწავლო წელს - IV კურსზე (ბრძანება №15, 25.02.2006, თსუ ოზურგეთის ფილიალი).

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის 1473 ბრძანებულების მე-2 შ/ და ფ/ ქვეპუნქტების, მე-3 პუნქტის დ/ ქვეპუნქტის საფუძველზე 2006-2007 სასწავლო წელს თსუ ოზურგეთის ფილიალში გაუქმდა დაუსწრებელი სწავლების ფორმა და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები გადაყვანილ იქნენ დასწრებული სწავლების ფორმის მათთვის დაუსწრებელი სწავლების საფასურის ტარიფის შენარჩუნებით და შეუერთდნენ დასწრებული სწავლების შესაბამის კურსებს (თანდართულ სიაში ნათია დუნდუა ირიცხება ეკონომიკის ფაკულტეტის V კურსზე). დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისთვის კრედიტების გადაანგარიშება კურსებისა და სპეციალობის მიხედვით ითვალისწინებს შედეგი სქემის გამოყენებას: თითოეული საგამოცდო საგანი და საკურსო ნაშრომი შეფასდეს 4 კრედიტით, ჩასათვლელი საგანი კი - 3 კრედიტით. აკადემიურ შვებულებაში მყოფ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებზე სტუდენტის სტატუსში აღდგენის შემდეგ გავრცელდება ყველა პირობა, როგორც დაუსწრებელი სწავლებიდან გადაყვანილ აქტიურ კონტიგენტზე (ბრძანება №65, 15.10.2006 - თსუ ოზურგეთის ფილიალი).

თსუ ოზურგეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ნოემბრის №67ა ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ნათია დუნდუა გადაყვანილ იქნა დასწრებელი სწავლების მე-4 კურსზე.

შენიშვნა: ბრძანებაში „მე-5 კურსის შემდეგი სტუდენტები“ ხელით არის ჩასწორებული, როგორც „მე-4 კურსის შემდეგი სტუდენტები“, რაც სავარაუდოდ შეცდომაა.

ოზურგეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 15 ოქტომბრის №65 ბრძანების დანართიდან ჩანს, რომ ნათია დუნდუა ირიცხებოდა ეკონომიკის ფაკულტეტის V კურსზე. ისმის კითხვა: როგორ აღმოჩნდა იგი იმავე წლის 18 ოქტომბრის №67[ბ] ბრძანებაში IV კურსზე? ჩვენი ვარაუდით, დღის დასწრებულზე არ არსებობდა V კურსი და ამიტომ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტების გადაყვანა ვერ მოხდებოდა დასწრებული სწავლების V კურსზე, რამაც გამოიწვია დაუსწრებელი სწავლების V კურსის სტუდენტების გაერთიანება დასწრებული სწავლების IV კურსის სტუდენტებთან. აღნიშნული ფაქტი კი შეცდომით იქნა ჩასწორებული ხელით.

2007 წელს თსუ ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (ბრძანება №39[ბ], 30.06.2007 - თსუ ოზურგეთის ფილიალი).

ოზურგეთის ფილიალის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2007 წლის 9 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანებით 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით.

შენიშვნა: აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოზურგეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებაში (№39[ბ], 30.06.2007) არ არის აღნიშნული, თუ რომელი სპეციალობა დაამთავრეს კურსდამთავრებულებმა. მაგრამ საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილი არც ერთი ბრძანებით არ დასტურდება ნათია დუნდუას სპეციალობის შეცვლის ფაქტი. იგი 2002 წელს ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალობაზე და მას შემდეგ არც ერთ ბრძანებაში არ არის აღნიშნული სპეციალობის შეცვლა. უფრო მეტიც, ნათია დუნდუას სახელზე გაცემული დიპლომიდან (დიპლომი B №000041, სარეგისტრაციო №01/7000291) ჩანს, რომ ნათია დუნდუას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით. აღნიშნული ფაქტი დაასტურა თვითონ კურსდამთავრებულმა ფაკულტეტის წარმომადგენელთან საუბრისას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „თსუ ოზურგეთის ფილიალის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ რექტორის №1634/01-04 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 24 აპრილის №661/01-04 ბრძანებით შევიდა ნაწილობრივი ცვლილება 2007 წლის 19 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანებაში და მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: 1. მიენიჭოთ ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავებულებს და 3. მიენიჭოთ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის

კვალიფიკაცით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს.

შენიშვნა: როგორც წარმოდგენილი ბრძანებებიდან ჩანს, თსუ რექტორის №1634/01-04, 19.12.2007 ბრძანებაში ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულების (სულ 50 კურსდამთავებულია) ხარისხის მინიჭებაში შევიდა ნაწილობრივი ცვლილება კურსდამთავრებულთა ნაწილს (33 კურსდამთავრებული) მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობით (თუმცა წარმოდგენილ კურსდამთავრებულებშიც არის დაშვებული შეცდომები), ხოლო მეორე ნაწილს (14 კურსდამთავრებული) მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით (სამწუხაროდ, მათ შორის არ ფიქსირდება 3 კურსდამთავრებულის გვარი - ნათია დუნდუა, გიორგი ლომაძე, ლაშა ლომაძე).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2008 წლის 24 აპრილის №661/01-04 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანებაში ცვლილებები შეტანის შესახებ თსუ რექტორის №2291/01-04, 24.11.2011 ბრძანებით 1. ბათილად იქნა ცნობილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2008 წლის 24 აპრილის №661/01-04 ბრძანება ნათია დუნდუას ნაწილში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2008 წლის 24 აპრილის №661/01-04 ბრძანებაში ნათია დუნდუას გვარი არ ფიქსირდება) და 2. შევიდა ცვლილება თსუ რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანების მე-2 პუნქტში და ოზურგეთის ყოფილი ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

შენიშვნა: სამწუხაროდ, არც ბოლოს გამოცემული თსუ რექტორის №2291/01-04, 24.11.2011 ბრძანებით არ დასტურდება კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას მიერ წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის დასრულება და ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვს ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით.

ნათია დუნდუას სახელზე გაცემული დიპლომში (BN№000041, სარეგისტრაციო №01/700291) აღნიშნულია, რომ მას 2007 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით (დიპლომის გაცემის თარიღია 07.02.2012).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივის მიერ გაცემული საარქივო ცნობაში აღნიშნულია, რომ თსუ ოზურგეთის ფილიალის კვალიფიკაციის მინიჭების 2007 წლის სხდომის ოქმები თსუ არქივში გადაცემული არ არის.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან არ იძებნება თსუ ოზურგეთის ფილიალის კვალიფიკაციის მინიჭების 2007 წლის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები (ოქმები) და შესაბამისად უცნობია გადაწყვეტილების რეკვიზიტები, კერძოდ, ოქმის ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს ოზურგეთის ფილიალის მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: აღდგენილად ჩაითვალოს ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუას ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და თსუ რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1634/01-04 ბრძანებით თსუ ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნათია დუნდუასთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 19 დეკემბერი*** და ორმის ნომრად ***№1634/3***.

3. **ყოფილი ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის 2005 წლის კურსდამთავრებულ ვერა გეგჩოგლიანის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.**

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოქალაქე მარინა მათევოსიანის განცხადების საფუძველზე მოითხოვა ვერა გეგჩოგლიანის ცნობა სწავლის პერიოდის შესახებ საათებისა და კრედიტების რაოდენობის მითითებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №55/01-01, 16.04.2014 ბრძანების შესაბამისად

საჭირო გახდა ვერა გოგჩეგლიანის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის 2001 წლის ჩარიცხვის და 2005 წლის დამთავრების ბრძანებებში გეგჩოგლიანი ვერას შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება. 2001 წელს ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალში საბაჟო და საგადასახადო საქმის სპეციალობის II კურსზე ჩაირიცხა **ვერა გეგჩოღლიანი** (ბრძანება №14, §1, 30.08.2001).

2005 წლის 17 მაისის №6 ბრძანებით ფილიალის V კურსის სტუდენტები (მ.შ. ვერა გეგჩოღლიანი), რომელთაც ჩააბარეს სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდები ამოღებულნი იქნენ სტუდენტთა სიიდან და მათ სახელზე გაიცა ჩვეულებრივი დიპლომები.

ვერა გეგჩოღლიანის შესახებ ინფორამცია არ ფიქსირდება სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში. რაც შეეხევა ვერა გეგჩოგლიანს, მისი გვარი დაფიქსირებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BUN№002296 (სარეგისტრაციო №0930) მის გვარზეა რეგისტრირებული.

თეუსუ-ს საარქივო ფონდში ვერა გეგჩოგლიანის პირადი საქმე და ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის სტუდენტთა აკადემიური ჟურნალები არ იძებნება.

2005 წელს მოხდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტისა და თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის გაერთიანება *(სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტისა და სსიპ - თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის გაერთიანების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №146, 25.08.2005).*

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები არ არის სრულყოფილი, კერძოდ, თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალში ჩაირიცხა ვერა გეგჩოღლიანი და ამავე გვარზეა წარმოებულია სტუდენტის სასწავლო ბარათი. იგივე გვარია დაფიქსირებული დიპლომის გაცემის შესახებ ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის 2005 წლის 17 მაისის №6 ბრძანებაში, სადაც აღნიშნულია, რომ საბაჟო საგადასახადო საქმის V კურსის სტუდენტი ვერა გეგჩოღლიანი ამოღებული იქნა სტუდენტთა სიიდან და მის სახელზე გაიცა დიპლომი ჩვეულებრივი. წარმოდგენილ საარქივო დუკუმენტაციაში არ იძებნება დასკვნითი - კვალიფიკაციის მინიჭების ოქმი. წარმოდგენილია მხოლოდ თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2005 წლის 16 მაისის სხდომის ოქმი №10, საიდანაც დგინდება რომ კურსდამთავრებულ ვერა გეგჩოგლიანმა გაიარა სახელმწიფო ატესტაცია „ეკონომიკურ საგანთა ციკლში“ და დაიმსახურა შეფასება „დამაკმაყოფილებელი (3)“. წარმოდგენილ ოქმზე დაფიქსირებულია, მხოლოდ ერთი კომისიის წევრის ხელმოწერა.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ არ იძებნება თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის 2000-2005 წლების სასწავლო გეგმები.

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, გვარში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, გვარი „გეგჩოგლიანი“, ჩარიცხვის და ხარისხის მინიჭების ბრძანებაში გადმოთარგმნილი იქნა რუსულიდან პირდაპირ

ქართულად, როგორც „გეგჩოღლიანი“. ხოლო დიპლომი გაიცა „გეგჩოგლიანის“ გვარზე. ქალბატონ მარინა მათევოსიანის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობა და მის სახელზე გაცემული დიპლომი წარმოდებულია „გეგჩოგლიანის გვარზე“.

ვინაიდან არ იძებნება თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის საბაჟო საგადასახადო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სახელმწიფო საატესტაციო კომისიის დასკვნითი ოქმი, ამიტომ მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული დიპლომების გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ჩარიცხვის ბრძანების (№14, §1, 30.08.2001) და დიპლომების გაცემის შესახებ ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის დირექტორის ბრძანებაში (№6, 17.05.2005) მითითებული გვარი „გეგჩოღლიანი“ შეიცვალოს გვარით „გეგჩოგლიანი“.
2. აღდგენილად ჩაითვალოს თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის საბაჟო-საგადასახადო საქმის სპეციალობის კურსდამთავებულ ვერა გეგჩოღლიანის (გეგჩოგლიანის) კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (სახელმწიფო საატესტაციო კომისიის დასკვნითი სხდომის ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2005 წლის 17 მაისი და ნომრად №6/პ.

მოისმინეს: ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორის, ბატონ იურგენ ბოსისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თ. ბერიძე/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორის, ბატონ იურგენ ბოსის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, სადაც ანიშნულია, რომ იურგენ ბოსი (დაბადებულია 1961 წელს), 2005 წლის აპრილიდან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორია და ხელმძღვანელობს ორგანიზაციას „ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა“. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ბიზნეს შეხვედრების ადგილია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო

სტუმარი ქვეყნის წარდგენას. საპატიო სტუმარ ქვეყანას უნიკალური შანსი ეძლევა წარმოაჩინოს თავისი კულტურული და ლიტერატურული პოტენციალი მთელი გერმანიის მასშტაბით, რომელიც წიგნის ბაზრის სიდიდით მთელს მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს. 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი საქართველოა. იურგენ ბოსი ქართველების საპატიო სტუმრად წარდგენას თავიდანვე ძალზედ პოზიტიურად აფასებდა, როგორც პატარა, მაგრამ ამასთანავე თვითმყოფადი კულტურის მქონე ქვეყანა, რომელიც 2018 წელს დიდ ინტერესს გამოიწვევს.

ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე შუამდგომლობას უწევს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორის, ბატონ იურგენ ბოსისთვის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობას უწევს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორის, ბატონ იურგენ ბოსისთვის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევას.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე